სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

43558237468320

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200624955

რეგისტრაციის თარიღი

02.09.2020 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცი წლის ორ სექტემბერს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. №6, პირველ სართულზე, მომმართა **მიხეილ გოგიაშვილმა.** მან განაცხადა, რომ არის **სს „თრიი ენდ მეთალ ფროდაქშენ"-ის** (ს/კ 208145489) დირექტორი და საზოგადოების სახელით მოითხოვა **დავით იაკობაშვილისათვის** (დაბ. 07.05.1982წ. თბილისში, პირადი №01009012672, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა #18, სხვენი 76) შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **მიხეილ გოგიაშვილი** - დაბ. 18.11.1981წ. თბილისში, პირადი #01003009559, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა #6, ბინა 212. მე შევამოწმე მიხეილ გოგიაშვილის უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან სს „თრიი ენდ მეთალ ფროდაქშენ"-ის შესახებ, საიდენტიფიკაციო ნომერი 208145489, განაცხადის რეგისტრაციის №B17030526, ამონაწერის მომზადების თარიღი: 10/03/2017წ. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, ლილოს დასახლება, სს „თრიი ენდ მეთალ ფროდაქშენ"-ის წესდება წარმოდგენილია სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცი წლის ორ სექტემბერს, ამ მინდობილობით **მიხეილ გოგიაშვილმა,** როგორც **სს „თრიი ენდ მეთალ ფროდაქშენ"-ის** (ს/კ 208145489) დირექტორმა, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მიმნდობი", საზოგადოების სახელით **დავით იაკობაშვილს,** რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია წარმოადგინოს მინდობილობის გამცემის ინტერესები მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, საკრებულოში, მუნიციპალურ ორგანოებში, საგზაო დეპარტამენტში, შემოსავლების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ჩააბაროს და ჩაიბაროს განცხადება, ადმინისტრაციული აქტები და ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რაც საჭიროა სამშენებლო ნებართვის ცვლილებასთან, უკვე გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გადავადებასთან დაკავშირებით, ასევე მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული და განახორციელოს მასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახადები, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეკრიბოს, წარადგინოს და მიიღოს (გამოითხოვოს) ყველა საჭირო დოკუმენტები, ინფორმაცია, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს მიმნდობის სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

2. მინდობილობა ძალაშია ორიათას ოცი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ზემოაღნიშნული მინდობილობა.

3. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

4. გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა 10 (ათი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 169-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 13.80 ლარი (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

მიმნდობი _____

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/